ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49073	146758	462109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	2709627	1515978
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	102209	472357	175832
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	420	420
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	151282	3329162	2154339
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	2477983	2177456
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	747963	762597
სულ ვალდებულებები	0	3225946	2940053
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	151282	103216	-785714
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	151282	103216	-785714
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	151282	3329162	2154339
სულ მოკლევადიანი აქტივები	151282	3329162	2154339
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	3159072	2808915
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	322217	2693348
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	322217	2693348
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	322217	2693348
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	-21944
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-42075
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-5063	-1769897
სულ საოპერაციო ხარჯები	-5063	-1833916
საოპერაციო მოგება	317154	859432
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-269103	29498
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	48051	888930
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	48051	888930
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადა	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	48051	888930
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	103216	-785714
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	15	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	151282	103216
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

"ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში" დაარსდა 2017 წლის მარტში. იგი წარმოადგენს ფილიალს ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA, რომელიც დაფუძნებულია იტალიაში.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურება 2017 წლის ივნისში გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს (დღეის მდგომარეობით საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს) საგზაო დეპარტამენტსა და ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზს SPA & Gestione Progetti Ingegneria SRL & IRD Engineering SRL-ს შორის. კონტრაქტის საგანია საკონსულტაციო მომსახურება -

- preparation of feasibility study and detailed design for E-60 highway section from Natakhtari to Rustavi (Tbilisi Bypass).

ამასთან ვინაიდან იტალიაში მიმდინარეობს ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის (დედა კომპანია) ლიკვიდაცია, ხოლო პროექტზე მუშაობას აგრძელებს „ანას ეს პი ეი“ საქართველოში გაიხსნა ანას ეს პი ეი-ს ფილიალი. „ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში" ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულია (ოფიციალური განცხადება შეტანილია საჯარო რეესტრში) და 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქ 8, კორპუსი 9, კომერციული ფართი N13 საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო.

2. შედგენის საფუძვლები

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2. გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას დნა განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ლარში.

2.4. შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებისათვის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულბებების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საკითხები, რომელშიც გამოყენებულია გარკვეული შეფასებები რომელიც ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე ასახულია 14 შენიშვნაში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2 2.8068 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, 2.9306 ლარს ერთი ევროსთვის (2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 3.0976 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, 3.5040 ლარს ერთი ევროსთვის, 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2.7020 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, 2.8844 ლარს ერთი ევროსთვის, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2.6894 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, 2.9753 ლარს ერთი ევროსთვის), გარდა არაფულადი ერთეულებისა, რომელთა ღირებულებაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით. დენომინირებული უცხოურ ვალუტაში, რომელიც გადაანგარიშებულია ძირითადი საშუალებების შეფასების დღისთვის არსებული კურსით.

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება შესაძლებელია მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი

3.3. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაზე წრფიცი მეთოდით 6 წლის გაანგარიშებით.

3.4. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთოთებს, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლიც აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღორებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმოდგენილი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლიც, გარდა იმ შემთვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორ გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცს ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღორებულება იზრდება მის გადახედილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლიც აღიარდება შემოსავალში, თუკი ესაქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.5. ლიზინგით აღიარებული ძირითადი საშუალებები/ იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასხდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრის მოგება - ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდეების საპროცეტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება - ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება - ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ეს ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. განკუთვნილია საწარმოო მოხმარების ან მომსახურეობისათვის. ერთეულები როგორიცაა სათადაროგო ნაწილები, დამხმარე და ექსპლუატაციაში მყოფი სხვა დანადგარები აგრეთვე მიეკუთვნება მარაგების კატეგორიას თუ არ აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს.

სასაქონლო მატერიალური მარეგები წარმოდგენილია საბალანსო ღორებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცეში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშრებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინასნური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარებ წყდება როდესაც ფინანსური სარგებლოს მოღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანუსრი აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინასნური აქტივის კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის აინფნაური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად :

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება - ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფიანანსური აქტივების კატეგორია - FVOCI.
კლასიფიკაცია განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმეის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივების მართვისთვის;
- ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა

ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარეირებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინასნური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს . კომპანიის ფული და ფულია ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყებებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხვავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიცირი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიში დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორილ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საფინანსო იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებევის შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარდმოგნენილია შემდგომ ქვეთავებში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღორებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება - ზარალში, გარდა იმ შემთხვევეისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება - ზარალში, პირეოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა

ხარჯები დაკავშირებული სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტი

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტი არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტი უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

3.9. დაგრობილი მოგება

აკუმულირებული მოგება(ზარალი) მოიცავს ყველა - მიმდინარე და გასული წლის გაუნაწილებელ მოგებას(ზარალს).

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისტვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

3.11. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნეა საკონსულტაციო მომსახურებიდან, საინჟინრო, არქიტექტორული დიზაინისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან. შემოსავალი შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსავლა საწარმოში;
- შესაძლებელია ხელშკერულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მოამსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე

შემოსავალი მიღებული კონტრაქტის საფუძველზე : RCIP/CS/QCBS-19

შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან, ზემოთ-ხსენებული კონტრაქტის მიხედვით, აღიარდება საგადახდო გრაფიკის საფუძველზე, რაც შეადგენს კონტრაქტის ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ეტაპებს მომსახურების სრულყოფისა, პერიოდულად, ვალდებულების წარდგენისა და შესაბამისი ანაზღაურების პროპორციის მიხედვით.

კომპანიას არ აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება დაუსაბუთებელი შესრულებული სამუშაოებისთვის, მანამ, სანამ შესაბამისი ანგარიში, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკში, არ დასრულდება, არ წარედგინება კლიენტს და არ დადასტურდება კლიენტის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროულად, ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც თავისთავად , წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დოისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განვავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები სრულად ამორტიზირებულია. კომპანიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ნარჩენი ძირითადი საშუალებები გადატანილია ანას ეს პი ეი -ის ბალანსზე.

ლარში

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	ჯამი
2021 31 დეკემბერი	19538	6426	25965
მატება			0
2022 31 დეკემბერი	19538	6426	25965
მატება			0
2023 31 დეკემბერი	19538	6426	25965
მატება			0
2024 31 დეკემბერი	19538	6426	25965
დაგროვილი ცვეთა			
მატება	1277	42	1319
2021 31 დეკემბერი	19401	6426	25827

მატება	137	0	137
2022 31 დეკემბერი	0	0	0
მატება	0	0	0
2023 31 დეკემბერი	0	0	0
მატება	0	0	0
2024 31 დეკემბერი	0	0	0
მატება	0	0	0
	19538	6426	25964

საბალანსო ღირებულება			
2021 31 დეკემბერი	137	0	137
2022 31 დეკემბერი	0	0	0
2023 31 დეკემბერი	0	0	0
2024 31 დეკემბერი	0	0	0

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		150,413	164,454
სავაჭრო მოთხოვნები თანამშრომელბზე		2,642,753	1,384,840
გადახდილი ავანსები			
სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი	102,209	66,874	131,139
გადასახადები			
ANAS SPA ფილიალის დაფინანსება		321,944	
წინასწარ გადახდილი იჯარა	0	0	11,378
	102,209	2,860,040	1,691,811

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან ღირებულების მიახლოებულ თანხად.

ხელმძღვანელობა დაწემუნებულია, რომ სახელმჭიფო ბიუჯეტში წანასწარ გადახილი თანხები უახლოეს მომავალში სრულად დაფარვადია. აღნიშნული თანხა შეადგენს წინასწრ გადახდილ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ).

კომპანიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ნაშთები გადატანილია ანას ეს პი ეი-ს ანგარიშგებაში.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	0	2,245,925.52	1,945,399
მიღებული ავანსები	0	232,057	232,057
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტში	0		0
	0	2,477,983	2,177,456

გზების დეპარტამენტისგან მიღებული ავანსი გაქვითულია სრულად

კომოანიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სავაჭრო ვალდებულებები გადატანილია ანას ეს პი ეი-ს ანგარიშგებაში.

7. მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარებისაგან

მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან წარმოადგენს დაფინანსებას, რომელიც მიღებულია ანა ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA, GPI & IDR Engineering SRL-სგან ოპერაციების დაწყების დასაფინანსებლად. მიღებული ფულადი სახსრები არის უპროცენტო და გათვალისწინებულია მისი დაბრუნება საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარეებისგა მიღებული მოკლევადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან დისკონტირების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა უმნიშვნელოა.

8. შემოსავალი

შემოსავლები, საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებულია N RCIP/CS/QCBS-19 კონტრაქტით, რომელიც გაფომებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ერ. ს. ANAS International enterprise SPA &SGestino Progetti Ingegneria SRL & IRd Engineering SRL შორის (დაკავშირებული მხარეები).

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსავლები აღიარებულია დროის გარკეულ მომენტში. ხელშეკრულები მთლიანი ღირებულება განაწილებულია მომსახურების მიმღებებს შორის (შესრულების ვალდებულებები) კომპანიის მიერ მხოლო განსაზღვრული ეტაპების დაკმაყოფილების საფუძველზე, რაც ხდება მაშინ, როდესაც კლიენტუ მოიპოვებს აქტივზე კონტროლს *დეტალური დანიშნულების ან გამოკითხვის ანგარიში). კომპანიას არ აქვს უფლება

მიიღოს ანაზღაურება დაგუსაბუთებული შესრულებული სამუშაოებისთვის, მანან სანამ შესაბამისი ანგარიში, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკში, არ დასრულდება, და არ წარდგინება კლიენტს და არ დადასტურდება კლიენტის მიერ.

შემოსავლები GPI საქართველოას და IRD საქართველოსაგნ წარმოადგენს მოთხოვნებს JV პარტნიორების მიმართ, რომელიც წარმოიქმნა ზემოთ აღნიშნული კონტრაქტის თანხმად, ეს თანხები წარმოადგენს კომპანიის დარიცხულ ხარჯებს, რომელიც წარმოიშვა ქვეკონტრაქტორ კომპანია შპს ტრანსპორტის, GPI საქართველოსა და IRD საქართველოსთვის.

ლარი	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
შემოსავალი	0	**2,692,371.44**	384,656
რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დეპარტამენტიდან			
შემოსავალი GPI Branch in Georgia	163,109		41,083
შემოსავალი IRD Branch in Georgia	159,108		41,083
სხვა შემოსავალი		976.48	
	322,217	**2,693,348**	**466,822**

9. ქვეკონტრაქტორების საკონსულტაციო ხარჯები

2022-2023-2024 წლების განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი საკონსულტაციო ხარჯები ქვემოთ მოცემული ქვეკონტრაქტორებისაგან:

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
GPI branch In Georgia	0	505,193	436,767
IRD Branch In Georgia	0	446,295	116,069
Transproject Ltd	0	434,611	136,944
Alligator Ltd	0	26,271	37288
Voxel Ltd	0	11,864	29,644
Social Project Management Group LLC	0		106,895
Gamma Consulting Ltd	0	62,923	67,513
Nino Dekanozishvili	0		13,000
Saad Malik	0		21,137
Ilia State University LEPL	0		
Geographic Ltd	0		
Hem Georgia LLC	0		69,485
Natural Resources LLC	0		
J & T Consulting LLC	0		

Sakenergo Project LLLC	0	82,841	28,129
Nikolaishvili Zurab	0		
Karen Arustamyan			
EcoSpeqtr LLC			92,611
Standart 2009		20,339	
GPG Ltd		40,000	
	0	**1,630,338**	**1,155,482**

კომპანიის ლიკვიდაციიდან გამომდინარე ყველა მიმდინარე საკონსულტაციო მომსახურების ქვე-კონტრაქტი გაფორმდა შპს ანას ეს პი ეი-თან.

10. სხვა ხარჯები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საბუღალტრო, სათარგმნი, იურიდიული და სხვა მომსახურების ხარჯები	4,156.34	131,729	82,025
საკომუნიკაციო ხარჯები			1,362
საპენსიო ფონდის ხარჯები	10	467	1,961
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები		48,739	11,368
მივლინებები			
წარმომადგენლობითი ხარჯები		0	
დაზღვევა		58,875	38,559
სხვა ხარჯები	644	616	546
	5,063	**240,426**	**135,821**

11. მოგების გადასახადი

მიმდიბარე გადასახადი დაკავშირებულია ასეთ აქტივობებს, რომლებიც იბეგრება გარიგების დროს.

ეფექტური გადასახდი გაანაგრიშება არ არის წარმოდგენილი, რადგან 2024-2023-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენტების გაცემას ადგილი არ ჰქონია. 2023 - 2024 წლების საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ ჰქონია არც ერთი ოპერაცია, რომელიც იბეგრება საქართველოში მიღებული მოგების დაბეგვრის სქემის მიხედვით.

12. დაკავშირებული მოვლენები

2020 დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა COVID-19 კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებული პანდემია. გლობალურად, COVID-19 -მა გამოიწვია როგორც

საქმიანობის მნიშვნელოვანი შეფერხება ბიზნესის სფეროში, ასევე მოახდინა ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა,რაც გამოიხატება აქტივების არამდგრადი ფასებით და არასტაბილური ვალუტის კურსით. 2020 წლის მარტში საქართველოს მთავრობა, იიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. აღსანიშნავია რომ პროექტის განხორციელებაზე პანდემიამ იქონია სერიოზული გავლენა. ამასთან, პანდემია ოფიციალურად გამოცხადდა დასრულებულად.

კოვიდმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა ანას ინტერნეიშენალის (დედა კომპანიის) მუშაობაშიც. კერძოდ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად დაიწყო ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA (რომი, იტალია) ლიკვიდაცია. შესაბამისად, 2024 წ. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით, გადაწყდა ანას ინტერნეიშენალ სპა-ს საქართველოს ფილიალის ლიკვიდაცია, ხოლო პროექტზე მუშაობას განაგრძობს (და შესაბამისად იქნება კონსორციუმის ლიდერი) ანას ეს-პი-ეი-ს საქართველოში გახსნილი ფილიალი (ს.კ 405625195). აღნიშნული ფილიალმა ჩაანაცვლა ანას ინტერნეიშენალს ყველა აქტივობაში.

13 მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და განხილვები

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებულიისტორილ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიცმ როგორიცაა მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

13.1. მნიშნვნელოვანი შეფასება კომპანიის საწარმო ფუნქხიონირებადობის შესახებ

ანას ინტერნეიშენალ ეტერპრაიზის ფილიალი საქართველოში დაფუძნდა, როგორც ფიალილი ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA (რომი, იტალია). ფილიალის მიზანია საკონსულტაციო მომსახურება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში, კერძო და საჯარო იურიდიული პირებისთვის. კომპანია ახორციელებს პროექტს Preparation of Feasibility Study and Detailed design fro E60 Highway Section from Natakhtari to Rustavi (Tbilisi BYPASS), რომელიც ფინასდება საქართველოს რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისროს საგზაო დეპარტამენტის მიერ აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. როგორც ზემოთ აღნიშნულია ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA (რომი, იტალია) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ლიკვიდაციას ექვემდებარება ადგილობრივი ფილიალიც. პროექტზე მუშაობას გააგრძელებს ანას ეს-პი-ეი-ს ამ პროექტის დასრულებისთვის საქართველოში გახსნილი ფილიალი (ს.კ. 405625195)

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია ამ პროექტის დასრულებაში და თვლის, რომ უზრუნველყობს აქტივებისა და ვალდებულებების მართვას ჩვეულებრივი ბიზნეს კურსის ფარგლებში.

14. ფინანსური ინსტრუმენტები

14.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და შესაბამისი ბაზისი, რომლის საფუძველზე ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

14.2. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდგეი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივები

2024 წლის 31 დეკემბერი

ამორტიზირებული ღირებულება	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
ფული და ფულის ექვივალენტები	49,073.52	146,758	462,109
	49,073.52	146,758	462,109

ფინასნური ვალდებულებები	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,245,926	1,945,399
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან		762,597	762,597
	0	3,008,523	2,707,996

არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი
შემოსავალი/ხარჯი	- 269,103	29,498	-196 794
	- 269,103	29,498	-196 794

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადახვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტენთან: ძირითადი რისკების ტიპია: საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობის რისკი

ქვემოთ მოცემულია უველაზე მნიშნვემოვანო რისკები რომლებსაც ექვემდებარება კომპანია :

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინასნური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფანანცირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ტრანზაქციების გამო, რაც ძირითადად არის ევროში დენომინირებული. კომპანიას ასევე აქვს მოკლევადიანი სესხები ევროსა და დოლარში, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის ოპერაციების დასაფინანსებლად საქართველოში.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად ფული და ფულის ექვივალენტების, ფული ბანკის და მოთხოვნების გამო.

საკრედიტო რისკების მართვა ხდება ჯგუგურად, კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებსა და დეპოზიტებთან მიმართებაში უმნიშვნელოა.

საკრედიტო რისკების მართვა ხდება ინდივიდუალურად, კომპანიის მიერ მომხმარებელთან ისტორიული გამოცდილებისა და მოსალოდნელი საკონსულტაციო მომსახურების მიღების საფუძველზე.

კომპანიის დებიტორული დავალიანება მოიცავს 3 მთავარ კონტარქტორს, რომელთაგანაც ორი დაკავშირებული მხარე (GPI საქართველო and IRD საქართველო) და ერთი, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. კომპანია არ მოელის საკრედიტო ზარალს აღნიშნულ კონტრაქტორებთან.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9ის გამარტივებულ მოდელს ზარალის რეზერვის შეფასებისთვის, მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით ყველა სავაჭრო მოთხოვნების მიმართებაში, რადგან მათ არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

ზარალის მოსალოდნელი განაკვეთი განისაზღვრება გასული ერთი წლის განმავლობაში გადახდების საფუძველზე და ამასთან ამ პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ყოფილა მოსალოდნელი ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

ც) ლიკვიდურობის რისკი
ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულბების გადახდისუუნარობას.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

კომპანაია განსაზღვრავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, ლიკვიდობის რისკის შეფასებისა და მართვისთვის, ნაწილობრივ, მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭო მოთხოვნების საშუალებით. ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთოვნები უნდა იყოს მიმდინარე ფულად გასავლებზე ნაკლები, კომპანია გეგმავს უზრუნველყოს ვალდებულებები, საკონსულტაციო კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდები, სარეპორტო თარიღამდე შესაბამისად.

16 პირობითი ვალდებულებები

16.1. დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზეა და ისეთი სადაზღვევო პაკეტები, რომლებიც გავრცელებულია სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის მისაწვდომი საქართველოში. კომპანიას აქვს სრულად დაზღვეული აღჭურვილობა, ბიზნესისი შეწყვეტის რისკი და ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ ქონების ან გარემოს დაზიანების გამო, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უბედური შემთხვევების შედეგად დაკავშირებული კომპანიის ქონებასთან ან საქმიანობასთან.

16.2. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

17. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშრებულ მხარეებს წარმოადგენს მისი მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა

17.1. საკონტროლო ურთიერთობები

კომპანია არ ფლობს აქციებს ან საწასდებო კაპიტალს, რადგან იგიგ წარმოადგენს ფილიალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია კონტროლირდენა ამას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზ SPA -მიერ, დამფუძნებელი კომპანია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი ორგანო

არის იტალიის მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკიდა და ფინანსთა სამინისტროს სახით.

17.2. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები:

ლარი

ტრანზაქციები	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2023 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები:			
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოებიდან	322,217	1,237,471	82,166
ქვე - კონტრაქტორებთან კონსულტაციის ხარჯები	0	951,488	552,836

ლარი

ბალანსები	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2023 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები:			
მოთხოვნები სამშენებლო სამუშაოებიდან			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0*	2,228,545	1,928,094
მიღებული ავანსები	0*	148,383	148,383
სათაო ოფისი:			
მოკლევადიანი სესხები მიღებული დაკავშირებული მხარეებისაგან	0*	762,597	762,597

*სავაჭრო ვალდებულებები როგორც მოთხოვნები გადატანილია ანას ეს პი ეი -ს ბალანსზე, ვინაიდან ანას ეს-პი-ეი ჩაანაცვლა ანას ინტერნეიშენალი როგორც ვალდებულებების, ასევე მოთხოვნების ნაწილში და აგრეძელებს მომსახურებას გზების დეპარტამენტთან გაფორმებული კონტრაქტების ფარგლებში.